სარდინიაში ქრისტიანობამდე ორი ათასწლეულის განმავლობაში ცხოვრობდნენ ნურაგები, რომლებიც ცხოვრობდნენ, ძირითადად, წრიულ კოშკებსა და პატარა გამაგრებული კედლებით აგებულ 8 000 პატარა ნაგებობაში. არ შემორჩენილა მათი არც დამწერლობა და არც წერილობითი წყარო, გარდა რომელიც ისტორიკოსების რამდენიმე მოხსენებისა მათი ხანგრძლივი არსებობის ბოლოს. მაგრამ შემოგვრჩა პატარა ბრინჯაოს ქანდაკებების კოლექცია (ასზე მეტი ერთეული), რომელიც ასახავს მათ კოსტუმებსა და მცირედს მათი სოციალური სტრუქტურის შესახებ. ქანდაკებებს შორისაა ორი მუსიკოსი: ერთი უკრავს დასარტყამ საკრავზე, მეორე – სამღეროვან სტივორზე (ლაუნედასი), მრავალხმიან საკრავზე, რომელიც დღემდე არის სარდინიული კულტურის მთავარ ელემენტს და ყველაზე დამახასიათებელი, იდოსინკრეტული სიმბოლო. ორივე ქანდაკება დათარიღებულია ჩვ. წ. აღ-მდე VIII საუკუნით (რომის დაარსების ხანა). ამჟამად სარდინიული მრავალხმიანობა, როგორც ვოკალური, ისე საკრავიერი, ჩვენი საერთო მსოფლიო მემკვიდრეობაა (იუნესკო), აღიარებული სამიათასწლეუანი სიძველით. სარდინიის მონაცემები ამყარებს მრავალხმიანობის სიძველის არგუმენტს და აძლიერებს მოსაზრებას (ჟორდანია, ნიკოლაძე), რომ პრაქტიკულად შეუძლებელია საკრავიერი (განსაკუთრებით, ჩასაბერი) მრავალხმიანობის მქონე კულტურას, ასევე, არ ჰქონდეს ვოკალური მრავალხმიანობა.

MANUEL LAFARGA MARQUES SPAIN

Manuel is Phd in Art: Production and Research (Polytechnic University of Valencia), Professor of Music history and aesthetics at higher Conservatories of Music of Alicante and Valencia. He was Associate professor for two decades at the University of Valencia EG (Music history, Vocal and Auditory Training). He has taught more than forty courses and about “Music and Neuroscience” (neurology of music; amusia; aphasia; music and language; children’s musical development). He played for years in some of the best orchestras in Spain (ORTVE, OSM among others), but since 1995 he has devoted himself exclusively to teaching and research. He is the author of multiple specialized publications, also in relation to “Greco-Roman polyphonic practices” and “music in human evolution”. He is creator of multimedia materials (especially videos) as support for his teaching [Youtube: <<https://www.youtube.com/user/pennysanz>>] and <www.musiclanguagefrontiers.com>. He has recently carried out a series of historical investigations around Paolo Veronese’s famous canvas “The Wedding Feast of Cana” at the Louvre <www.theweddingatcana.org>.

TRIPLE PIPES UB NURAGHE CULTURE: 4000 YEARS OF POLYPHONY IN THE MEDITERRANIAN BARBAGIA (SARDINIA) (Co-author Penelope Sanz Gonzalez)

Nuragic people inhabited Sardinia for two millennia before the Christian Age, leaving behind more than 8.000 sites mainly constituted with small sets of circular towers and small fortified walls, no writing system and no written source has survived, except for a few mentions of Roman historians by the end of their long existence. Conversely, a collection of small bronze statuettes (more than one hundred) survived, reflecting their costumes and something about their social structure. Statuettes include two musicians: one of them a percussionist, and the other one a triple pipe (launeddas) player, a polyphonic instrument which is the centerpiece of Sardinian culture to the present day, and its most characteristic and idiosyncratic symbol. Both statuettes are dated around the 8th-century BC, in the times of Rome foundation. Sardinian polyphony, both in an instrumental and vocal style, is currently our common World Heritage (UNESCO) with a recognized antiquity of three millennia. The data from Sardinia strengthens the argument of the great antiquity of polyphony, and also strengthens the idea (Jordania, Nikoladze) that its virtually impossible for a culture that practices instrumental (particularly blown instrumental) polyphony, not to possess vocal polyphony.



ნინო მახარაძე

საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. სხვადასხვა დროს იყო თბილისის კონსერვატორიისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მეთოდისტი, ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მუსიკის ექსპერტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი.

სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, ჩართულია ადგილობრივსა და საერთაშორისო პროექტებში; ხელმძღვანელობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს ეთნომუსიკოლოგიაში. ატარებს საჯარო ლექციებს, ლექცია-კონცერტებს, შეხვედრებს ფოლკლორულ ანსამბლებთან.

სამეცნიერო ინტერესები ქართული ტრადიციული მუსიკის სემანტიკის პრობლემებს უკავშირდება. იკვლევს ქალთა ფოლკლორს, საბავშვო და ბავშვთა ფოლკლორს, საკრავიერ მუსიკას, ქართულ-ჩრდილოკავკასიურ პარალელებს, საეკლესიო გალობას და ა. შ.

ცეკვა „ლეკური“

(ხათუნა დამჩიძესთან თანაავტორობით)

მოსხენებაში ეთნოქორეოლოგიური და ეთნომუსიკოლოგიური მონაცემების შეჯერების საფუძველზე იქნება განხილული ცეკვა „ლეკურის“ გენეზისისა და სახისმეტყველების საკითხები.

NINO MAKHARADZE

GEORGIA

Ethnomusicologist, Doctor of Musicology, Professor at Ilia State University; at various times was an invited lecturer at Tbilisi State Conservatoire and Batumi Art University, a consultant at the Folklore State Centre, scholarly worker at the State Museum of Georgian Folk Song and Musical Instruments, scholarly worker at the Complex Research Laboratory of Ekvtime Takaishvili University of Culture and Art, a music expert for the Georgian Ministry of Education and National Examination Centre, a trainer at the National Centre for Teacher Professional Development.

Systematically participates in national and international conferences and symposia, local and international projects; supervises Bachelor, Master and Doctoral works in ethnomusicology; delivers public lectures, lecture-concerts, and meetings with folk ensembles.

The focus of her scholarly interest is the semantic problems of Georgian traditional music. She researches women's folklore, children's folklore, instrumental music, Georgian-North Caucasian parallels, ecclesiastical music, etc.

DANCE “LEKURI”

(Co-author **Khatuna Damchidze**)

The paper discusses the issues of genesis and tropology of the dance “Lekuri” basing on the revision of ethno-choreological and ethnomusical data.



ულრის მორგენსტერნი

ავსტრია

ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ფრანკფურტისა და კიოლის უნივერსიტეტების მიწვეული პროფესორი. ფილოსოფიის დოქტორი სისტემურ მუსიკოლოგიაში (2003), ხელოვნების მაგისტრი სისტემურ მუსიკოლოგიასა და აღმოსავლეთ სლავურ კვლევებში (1993), ჰამბურგის უნივერსიტეტის ჰაბილიტირებული მკვლევარი (2011, ხალხური მუსიკა/მედარებითი მუსიკოლოგია)

პანელი: ავსტრიული ფოლკლორული მუსიკის ინტარდისციპლინური და შედარებითი შესწავლის პერსპექტივები

„განმეორებადი ფორმები“ და ბინარული ჰარმონია. ორი ფუნდამენტური პრინციპი ევროპულ ხალხურ მუსიკაში და მათი მნიშვნელობა ავსტრიული/ალპური ტრადიციისთვის

(საპანელო პრეზენტაცია ევა ბანჰოლცერთან და რიტის ამბრაზევიჩუსთან ერთად)

ევროპის სხვადასხვა რეგიონის ხალხური (ტრადიციული) მუსიკის კვლევებმა გამოავლინა ხალხური (ტრადიციული) ინსტრუმენტული მუსიკის სინტაქსური და ვერტიკალური ორგანიზაციის მსგავსი პრინციპები. პირველი პრინციპია განმეორებადი ფორმები, მეორე – ბინარული ჰარმონია, რომელიც შესაძლოა აღვიქვათ, როგორც მონოფონიური მელოდის არაპირდაპირი (ვირტუალური) ან რეალური ორ- ან სამელემენტური ან სხვაგვარი ქსოვილის სტრუქტურა. ავსტრიული ტრადიციული საცეკვაო მუსიკა დაფუძნებულია ფრაზების შედარებით მარტივი ხანგრძლივობის პროპორციებზე. მოტივების განმეორებები მოქცეულია ფიქსირებულ ჩარჩოში, ჩვეულებრივ რვა- ან თექვსმეტ-ტაქტიან შაბლონებში. ამდენად, შეუძლებელია მათი ისე მოქნილად გაერთიანება, როგორც *Spielfigurenform* (მოტივები) (ფელიქს შორბურგერი) ან პარატაქსია (ორი წინადადების გაერთიანება დამაკავშირებელი სიტყვის გარეშე) (ჰარის სარისი), რაც, სავარაუდოდ, დამახასიათებელი იყო ბალკანური, აღმოსავლეთევროპული და ბალტიის ქვეყნების საკრავიერი მუსიკის ადრეული ფორმებისთვის. ამის მიუხედავად, განმეორებადი ფორმები შეიძლება წარმოადგენდეს იმ სტილის შრეს, რომელიც ლენდლერ ცეკვების უფრო უახლესი რეპერტუარისგან მათთვის დამახასიათებელი *Korrespondenzmelodik*-ით (წინადადებებით) განსხვავდება.

ავსტრიულ/ალპურ საკრავიერ მუსიკაში ბინარული ჰარმონია ყოველთვის ეფუძნება ტონიკისა და დომინანტის ფუნქციების კომბინაციას, რითიც ავლენს პარალელურ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საცეკვაო მუსიკის ფორმებთან. ევროპის ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, ბინარულ ჰარმონიაზე დაფუძნებული საკრავიერი მუსიკა ქმნის სტაბილურ ჩარჩოს იმპროვიზებული (ან მზა, მაგრამ თავისუფლად კომბინირებული) ეპიგრაფიკული მოკლე სიმღერებისთვის, რომლებსაც ავსტრიაში უწოდებენ *Gstanzln*-ს მოხსენებაში მიმოხილულია ხალხური საკრავიერი მუსიკის ორი სტრუქტურული პრინციპი და მისი ფუნქციური ჩარჩო ალპურ რეგიონში ევროპის სხვა რეგიონებთან შედარების თვალსაზრისით.

ULRICH MORGERNSTERN AUSTRIA

Full Professor at the University of Music and Performing Arts Vienna. M.A. in Systematic Musicology and East Slavic Studies (1993), Ph.D. in Systematic Musicology (2003), Habilitation (*venia legendi*) in Folk Music Research / Comparative Musicology at the University of Hamburg (2011). Visiting professorships at the Universities of Frankfurt a.M. (2009–2011) and Cologne (2012).

PANEL: INTERDISCIPLINARY AND COMPARATIVE PERSPECTIVES ON AUSTRIAN FOLK MUSIC

“REPETITIVE FORMS” AND BINARY HARMONY. TWO FUNDAMENTAL PRINCIPLES IN EUROPEAN FOLK MUSIC AND THEIR SIGNIFICANCE FOR THE AUSTRIAN/ALPINE TRADITION

(Panel presentation with Eva C. Banholzer and Rytis Ambrazevičius)

Studies on folk (traditional) music of different European regions have revealed similar principles of syntactical and vertical organization of folk (traditional) instrumental music. The first principle concerns repetitive forms, the second - binary harmony which can appear as implicit (virtual) harmony of a monophonic melody or in real dyadic, triadic and other textures. Austrian traditional dance music, is based on comparatively simple durational proportions of the phrases. Motive repetitions are integrated in a fixed framework, usually of eight- or sixteen-bar patterns. Thus they cannot be combined in a flexible way as in *Spielfigurenform* (Felix Hoerburger) or *parataxis* (Haris Sarris), typical to presumably early forms of instrumental music in the Balkans, Eastern Europe and the Baltic countries. Nevertheless repetitive forms may constitute a style layer opposed to more recent repertoire of the *Ländler* dances with their typical *Korrespondenzmelodik*. Binary harmony in Austrian/Alpine instrumental music is always based on a combination of tonic a dominant function which shows parallels to south and southeast european forms of dance music. As it is the case in many other parts of Europe folk instrumental music based on binary harmony gives a stable frame for improvised (or ready prepared but freely combined) epigrammatic short songs, called in Austria *Gstanzln*. The paper gives and overview on the two structural principles of instrumental folk music and its functional framework in the Alpine Region with a comparative perspective on other European regions.



მარიო მორალო

კანადა

მუსიკოსი, მკვლევარი, ხმის რეჟისორი და ეთნომუსიკოლოგი ტორონტოდან. ამჟამად ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრანტი იორკის უნივერსიტეტში, აანალიზებს და იკვლევს ბალკანური, ქართული, იტალიური და უკრაინული ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობის სამემსრულებლო პრაქტიკებს. ხშირად მონაწილეობს ტრადიციულ მრავალხმიან სიმღერასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტში. ამჟამინდელი ინტერესი მიმართულია იტალიური მრავალხმიანი სასიმღერო რეპერტუარისა და ემიგრაციის შემდეგ მათი ტრანსფორმაციის (განსაკუთრებით, სალენტოს რეგიონში) კვლევასა და დასპორის თემებში მრავალხმიან სიმღერაზე ურბანულ კონტექსტში.

სალენტოს იდენტობა, მემკვიდრეობა და სიმღერები, როგორც კულტურული არტეფაქტები: მემკვიდრეობის კვლევა სალენტოს აკადემიური სიმღერების ტრანსფორმირებაზე

უკანასკნელ წლებში სამხრეთ იტალიის სალენტოს რეგიონში გაჩნდა ადგილობრივი იდენტობის ახლებური აღქმა, რაც ამ რეგიონის ცეკვებისა და სიმღერების შესრულებაშია გამოიხატული. აღსანიშნავია, რომ პოლიფონიური სიმღერების შესრულების ტრადიცია, რომელსაც ადრე გაქრობა ემუქრებოდა, სალენტოში ისევ აქტიური პრაქტიკა გახდა. იდენტობის ახლებური შეგრძნების გამო ამ სიმღერებმა რეანიმაციის შედეგად ახალი მუსიკალური ფორმა შეიძინა. იმის მიუხედავად, რომ ეს სიმღერები ახლა ახალ კონტექსტებში, სივრცეებში, ჯგუფებში, სოციალურ-მუსიკალურ დინამიკასა და ესთეტიკაში ჩნდება, სალენტოელები მათ მაინც მიიჩნევენ თავისი კულტურული მემკვიდრეობითობის საპატიო არტეფაქტად. მიუხედავად იმ ობიექტური გარემოებებისა, რომ ეს ტრადიცია მიმდინარეობდა შეიცვალა, თვალსაზრისი, რომ სალენტოს პოლიფონიური სიმღერა ძველისძველია და წარსულის მუსიკალური სივრცედან მოდის, ჩაგონებულია კულტურულად-მოტივირებული, კოლექტიური შეგრძნებით. მას მე წარმოგიდგინებ ეთნოგრაფიული მომენტებითა და ძველი და ბოლოდრინდელი საექსპერიმენტული ჩანაწერების ანალიზით.

მოსხენებაში ვიკვლევ, როგორ ქმნის სალენტო, როგორც შემსრულებლობის კალატალიზატორი, ახალ სივრცეებს, რაც ამ ტრადიციას ახალ ცხოვრებას და მნიშვნელობას სძენს. კომლანი ვარაუდობს, რომ „როგორც ის მატერიალური და სოციალური პირობები იცვლება, რომლებშიც წარმოიშვა და დაკრისტალდა ტრადიციული მუსიკის ჟანრები, რა თქმა უნდა, ისეთივე, უნდა იყოს მისი შემქმნელებისთვის ეს მუსიკა და მისი მნიშვნელობა“. ეს ქმნის საფუძველს სალენტოს მუსიკალური წარსულის შესასწავლად, რაც შეიძლება გამოვიყენოთ იმის საჩვენებლად, რომ სალენტოს მრავალხმიანობა ტრანსფორმაციის მიუხედავად, სალენტოელებისთვის მაინც არის მემკვიდრეობითობის არსის მატარებელი.

MARIO MORELLO CANADA

Musician, researcher, arranger, and ethnomusicologist from Toronto, Canada. Is currently pursuing an MA in Ethnomusicology at York University, focusing his studies on analysis and performance practices of traditional vocal polyphonies, particularly from the Balkans, Georgia, Italy, and Ukraine. Contributes to several local ensembles in an eclectic variety of musical projects that focus on traditional polyphonic singing. Current research interests include the study of repertoires of polyphonic song in Italy and their contemporary transformations (particularly in the Salento region), and the study of traditional polyphonic singing in diaspora communities.

SALENTINE IDENTITY, LEGACY, AND SONGS AS CULTURAL ARTIFACTS: INVESTIGATING ANCESTRAL SENTIMENT IN THE TRANSFORMING PERFORMANCE OF POLYPHONIC SINGING IN SALENTO

In recent years, the Salento region of southern Italy witnessed a newfound sense of local identity that is expressed through the performance of its regional dances and songs. What is noteworthy is that the singing of Salentine polyphonic songs re-emerged as an active local practice, which had been a previously disappearing tradition. By reanimating these songs through a newfound cultivated sense of Salentine identity, the songs have taken on a new musical form. Despite the fact that these songs are now emerging in new contexts, spaces, groups, socio-musical dynamics and aesthetics, Salentine people still regard this singing as an esteemed artifact of their cultural legacy. The notion of Salento's polyphonic singing being immemorial is instilled by the culturally-motivated, collective sentiment that it descends from a musical space of the past. This sentiment instills it with artifactual value that bestows it with an ancient quality, despite the objective truth that the tradition changed considerably.

I present this through ethnographic moments and analysis of early and recent field recordings. In this paper, I investigate the idea of what Coplan describes as “the meaning of tradition”, and how the singing of polyphonic songs in Salento acts as a catalyst for creating novel spaces for performance which impart new meaning and life to the singing tradition. Coplan suggests that “as the material and social conditions under which traditional music genres arose and crystallized change, so of course must this music and its meaning for its creators.” This provides a framework to study the field of Salento's musical past, which can be utilized to demonstrate that despite the transformation of Salentine polyphony, it continues to carry an essence of ancestry for Salentine people.



მუჰამედ აშკან ნაზარი

ირანი

თეირანის ხელოვნების უნივერსიტეტის, მუსიკის ფაკულტეტის ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრი (2016). სამემსრულებლო ხელოვნებისა და მუსიკის სკოლა, თეირანის უნივერსიტეტის სახეითი ხელოვნების ფაკულტეტი (2012). მუსიკის პედაგოგი და მკვლევარი ქურთისტანის უნივერსიტეტში (სანანდაჯი, ირანი).

პოლიფონიისა და ბრძანადის ურთიერთკავშირის სემიოტიკური გაგება ჰავრამის მუსიკაში; ეროტიკული ლიტერატურის როლი ჰავრამის ხალხური მუსიკის შემსრულელობაში

ძირითადად, ვოკალური ნიმუშებით წარმოდგენილ ჰავრამის მუსიკაში, ძალიან ცოტა ადგილი რჩება აკომპანემენტისთვის, მაშინ, როცა მეტი წილი მოდის ვოკალზე, როგორც ეს არის სიმღერებში *ვერდაბაზმი* და *ჩაპლა*; მათში ყველაზე მნიშვნელოვანია საყვარელი ადამიანის გარეგნობის, ფიზიკური კმაყოფილებისა და სასურველი მიზნის განხორციელების წარმოსახვა. ჰავრამის სიმღერები, ჩვეულებრივ, სრულდება უწყვეტად ორი ან სამი მომღერლის მიერ. თითოეული მომღერლის პარტიის დაბოლოება სრულდება ორჯერ, პარტნიორის დასაწყისის გადაფარვამდე. კოლექტიურად შესრულებული ჯვარედინი ტექსტები ქმნიან პეტეროფონურ მომენტს, გამოირჩეულს უნისონისგან. ამის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევა კონცენტრირებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ეროტიული თემების გამოხატვა მომღერლების ხმის სიმაღლის ცვლელადობაზე, როდესაც მათ მოიცავს ამ წარმოსახვით გამოწვეული ფიზიოლოგიური აგზნება. ასევე, იკვლევს ურთიერთკავშირს ამ ზემოქმედებასა და პეტეროფონიის შექმნას შორის ჰავრამის მუსიკაში. ანთროპოლოგიური და ეთნომუსიკოლოგიური მიდგომების პრიზმაში, ნაშრომში განხილულია ჰავრამის მომღერლებისგან აღებული ინტერვიუები, გამოკვლევულია აუდიო და ლიტერატურული წყაროებიდან აღებული მონაცემები. კვლევამ დაადგინა, რომ მომღერლების ხმების სიხშირეზე გავლენას ახდენს როგორც ეროტიზმის გამოხატულებით გამოწვეული ვენებები, ისე თანხლები საკრავის არარსებობა. მონაცემების დეტალურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხმის სიმაღლე იცვლება მომღერლების მიერ ტექსტში გრძნობადი მომენტების მიღწევის შესაბამისად. ამრიგად, მომღერლების გადაფარვა სიამოვნების მწვერვალზე იწვევს გაუცნობიერებელ პოლიფონიას. ზედმეტი აღზნებულობით გამოწვეული ასეთი პეტეროფონია შესრულების დროს უკან ტოვებს უსიამოვნო ინტერვალებს.

MOHAMMAD ASHKAN NAZARI IRAN


MA in Ethnomusicology from Faculty of Music, University of Art, Tehran, Iran (2016). School of Performance Arts and Music, Faculty of Fine Arts, Tehran University, Tehran, Iran (2012). Music Lecturer and Researcher at Kurdistan University, Sanandaj, Iran.

A SEMIOTIC READING OF THE CORRELATION BETWEEN POLYPHONY AND SENSUALITY IN HAWRAMI MUSIC; HOW EROTIC LITERATURE TRIGGERS HETEROPHONIC FOLK HAWRAMI MUSIC PERFORMANCES

Performed mostly as vocal pieces, Hawrami music has left little room to accompaniment, while giving the larger share to romance, manifested in such song types as *Werdabazm* and *Chapla*, in which explicit sensual imagery is at its height with the portrayal of the beloved's appearance, physical satisfaction and consummation. Hawrami songs are commonly performed consecutively by two or three signers. Each performer's ending section is sung twice before overlapping with the partner's piece. The collectively-sung intersecting lyrics, therefore, create a heterophonic moment which stands out of unison. With that in mind, the present research concentrates on the extent to which an expression of erotic themes affects the pitch alteration in the singers' voice as they go overwhelmed by physiological excitement aroused by such imagery. It further explores the correlation between that impact and the creation of heterophony in Hawrami music. Under a prism of anthropological and ethnomusicological approaches, the study examined data collected from audio and literary sources as well as field interviews with Hawrami singers within a lengthy research period. The frequency of the singers' voice, the study concluded, is impacted by passions provoked by the expression of eroticism as well as the absence of an accompanying instrument. A detailed analysis of the data further proved that the pitches transform as the signers reach the explicit sensual points in the lyrics. Thus, the signers' overlaps at that pinnacle of utmost pleasure lead to an unconscious polyphony. Triggered by overexcitement, such heterophony normally leaves behind unpleasant intervals during the performances.

მეთიუ ნაითი

კანადა



MATTHEW KNIGHT CANADA

Ph.D. in ethnomusicology at the University of Illinois, Urbana-Champaign, in 2019. He conducted fieldwork in Georgia in 2015–2016, studying folk music at the Tbilisi State Conservatoire and with singers and musicians in west Georgia, especially in Svaneti. He has presented multiple times at conferences of the Society for Ethnomusicology and the Association for Slavic, East European and Eurasian Studies, as well as others. MA research (University of Alberta, 2011) focused on music-making among North American Old Order Anabaptist groups.

PRESERVATION, SAFEGUARDING, RESILIENCE: CONCEPTUALIZING SUSTAINABILITY AND ECOLOGIES OF MUSIC IN SVANETI

Since UNESCO began working with Intangible Cultural Heritage, the safeguarding of ICH has continued to evolve. A salvage model based on collecting field recordings and texts for archives has been replaced by a view of culture more as a process than a set of products. Recently, ethnomusicologists have proposed treating heritage in terms of an ecosystem—something that can only occur within interlinked conditions, requiring a fertile community to thrive. Titon, who pioneered music ecology, characterizes musical activities and communities in terms of sustainability and resilience. At the same time, the new field of ecomusicology has critiqued the “musical ecosystem” approach for simply using ecology as a metaphor and not conceptualizing musical activity as part of the natural biosphere. Svaneti is an instructive case to interrogate theories of musical ecosystem sustainability and ecomusicology. Economic development and cultural and natural sustainability are intertwined concerns that may converge or conflict. Environmental concerns and the need to preserve cultural heritage have been invoked in opposition to hydroelectric dam projects in Nenskra and Khudoni, musical tourism has been used to promote village-level cultural revitalization, children are learning folk music in a stage-ready, tourist-friendly form, and the Folklore Centre has called for the safeguarding of the zari funeral lament, a non-commodifiable tradition dependent on vibrant community life. Environmentalists and cultural stakeholders should work together toward a thriving Svanetian future while acknowledging the risks of unchecked economic growth.

დოქტორი ეთნომუსიკოლოგიაში (ილინოისი, ამერიკა, 2019). მისი სამაგისტრო ნაშრომის (ალბერტას უნივერსიტეტი, 2011) თემა იყო ჩრდილოეთ ამერიკის ძველი ნესრიგის ანაბაპტისტური ჯგუფების მუზიციერება. 2015-2016 წლებში ჩაატარა ექსპედიციები საქართველოში, სწავლობდა ხალხურ მუსიკას თბილისი სახელმწიფო კონსერვატორიაში და მომღერლებთან და მუსიკოსებთან დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სვანეთში. მრავალჯერ მონაწილეობდა ეთნომუსიკოლოგიური საზოგადოებისა და სლავური, ევროპული და ევრაზიული კვლევების ასოციაციისა და სხვ. კონფერენციებში.

შენარჩუნება, დაცვა, სიცოცხლისუნარიანობა: სვანეთში მუსიკის მდგრადობისა და ეკოლოგიის კონცეპტუალიზაცია

მას შემდეგ, რაც იუნესკომ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე დაიწყო მუშაობა, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მუდმივ ევოლუციას განიცდის. გადარჩენის მოდელი, რომელიც დაფუძნებულია არქივებისთვის საექსპედიციო ჩანაწერებისა და ტექსტების შეგროვებაზე, ჩაანაცვლა კულტურის, როგორც პროცესის და არა პროდუქტის ხედვამ. უკანასკნელ ხანს, ეთნომუსიკოლოგებმა შემოგვთავაზეს მემკვიდრეობის განხილვა როგორც ეკოსისტემისა – რაღაცის, რაც შეიძლება მოხდეს ურთიერთდაკავშირებულ პირობებში და რასაც განვითარებისთვის ნაყოფიერი საზოგადოება წირდება. ტიტონი, მუსიკალური ეკოლოგიის ინიციატორი, მუსიკალურ აქტივობებსა და თემებს მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით ახასიათებს. ამავე დროს, ეთნომუსიკოლოგიის ახალი დარგი აკრიტიკებს „მუსიკალური ეკოსისტემის“ მიდგომას, ვინაიდან ის ეკოლოგიას იყენებს მხოლოდ როგორც მეტაფორას და არ ახდენს მუსიკალური აქტივობის, როგორც ბუნებრივი ბიოსფეროს ნაწილის კონცეპტუალიზაციას.

სვანეთი ყურადსაღები შემთხვევაა გამოკითხვის სანარმოებლად მუსიკალური ეკოსისტემის მდგრადობის თეორიისა და ეთნომუსიკოლოგიის შესახებ. ეკონომიკური განვითარება და კულტურული და ბუნებრივი მდგრადობა ერთმანეთზე გადაჯაჭვული პრობლემებია, რომლებიც შეიძლება თავსებადი ან კონფლიქტური იყოს. გარემოსდაცვითი პრობლემები და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების აუცილებლობა უპირისპირდება ნენსკრასა და ხუდონის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტებს, მუსიკალური ტურიზმი გამოიყენება კულტურული აღორძინებისთვის სოფლის დონეზე, ბაჟმეები სწავლობენ ხალხურ მუსიკას სცენისთვის და ტურისტული/მეგობრული ფორმით, ფოლკლორის ცენტრმაც მოუწოდა დაიცვან სამგლოვიარო ზარი – ცოცხალ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დამოკიდებული არა-კომერციული ტრადიცია. ეკოლოგებმა და კულტურის მოღვაწეებმა ერთად უნდა იმუშაონ სვანეთის მომავალი კეთილდღეობისთვის, ამასთან უნდა გააცნობიერონ უკონტროლო ეკონომიკური ზრდის რისკები.

ემი ოკადა
იაპონია



EMI OKADA

JAPAN

Ethnomusicologist, PhD in musicology from the Tokyo University of the Arts (2010). Her doctoral research focused on musical instruments and globalization in Asia and published *Keyboard Instruments in India: The Process of the Glocal Improvement and Diffusion of Harmonium and Electric Keyboard* (2016). After having worked at the University of the Ryukyus, Okinawa (2012-2019), she currently works as an associate professor of Department of Advanced Human Sciences at National Museum of Ethnology, Osaka and carries out fieldwork in Nagaland, Northeast India focusing on singing culture of Naga tribes of Indian minorities.

TRADITIONAL POLYPHONIC SINGING CULTURE AND INTERPERSONAL COOPERATIVENESS OF CHAKHESANG NAGA, AN ETHNIC MINORITY IN NORTHEAST INDIA.

The Chakhesang Naga is an ethnic minority of Indomongoloid origin who live in the mountainous areas in the south part of Nagaland, a State of Northeast India near the Myanmar border. Most of them make a living from agriculture and their villages are surrounded by terrace fields of slash-and-burn cultivation. They have a rich traditional singing culture called *Li*, which is a kind of conversation with other members of their own village. Therefore, their *Li* is always sung with a polyphonic texture of many voices and the melody is simultaneously harmonized by the frequent use of perfect fourth and fifth intervals. The song lyrics in *Chokri* language are composed by a fixed verse of two alternating phrases of four and five syllables and people express internal feelings by vocalizing simple words in rhyme. As a means of maintaining good relations, singing together is an indispensable medium in the village. How do they continue to hand their *Li* down from generation to generation? The paper suggests the characteristics of *Li* songs, the current stable and evolving elements of oral transmission and the social role of *Li* as a form of interpersonal cooperativeness among the Chakhesang Naga villagers.

ეთნომუსიკოლოგი, ტოკიოს ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის დოქტორი (2010). მისი კვლევის თემაა მუსიკალური საკრავები და გლოკალიზაცია აზიაში. გამოცემული აქვს „კლავიშოვანი საკრავები ინდოეთში: გლოკალური დახელოვნების პროცესი და ჰარმონიკასა და ელექტრო კლავიატურის გავრცელება“ (2016). 2012–2019 წლებში მუშაობდა რიუკუსის უნივერსიტეტში (ოკინავა). ინდოეთის ეთნიკური უმცირესობის ნაგას ტომების სასიმღერო კულტურის შესწავლის მიზნით აწყობს ექსპედიციებს ნაგალანდში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთი).

ტრადიციული პოლიფონიური სასიმღერო კულტურა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთის ეთნიკური უმცირესობის, ჩახესანგ ნაგას ინტერპერსონალური ურთიერთობა

ჩახესანგ ნაგა არის ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში სამხრეთ ნაგალანდის მთიან ნაწილში, მიანმარის საზღვართან მცხოვრები ინდო-მონღოლოიდური წარმოშობის ეთნიკური უმცირესობა. ისინი ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მათი სოფლები გარშემორტყმულია ტერასოვანი მიწებებით. აქვთ ტრადიციული სიმღერის მდიდარი კულტურა სახელწოდებით *ლი*; ეს არის ერთგვარი საუბარი თანასოფლელებთან. *ლი* იმღერება პოლიფონიური ფაქტურით მრავალი ხმის მიერ და მელოდიის ჰარმონიზება ხშირად ხდება წმინდა კვარტებითა და კვინტებით. *ჩოქრის* ენაზე დანერგილი სიმღერის ტექსტები სრულდება ორი ფიქსირებული ოთხ- და ხუთ-მარცვლიანი ფრაზების მონაცვლეობით, ადამიანებს გრძნობებს გამოხატავენ რიტმულად მარტივი სიტყვებით. სიმღერა არის სოფელში კარგი ურთიერთობების შენარჩუნების საუკეთესო საშუალება. როგორ ხდება ამ ტრადიციის თაობიდან თაობაზე გადაცემა? მოხსენებაში განხილულია *ლი*, ამ ზეპირი ტრადიციის სტაბილური და განვითარებადი ელემენტები დღეს და მისი როლი ჩახესანგ ნაგას სასოფლო თემის ინტერპერსონალურ ურთიერთობებში.

ტიციანა პალანდრანი

იტალია



ეთნომუსიკოლოგი, პოეტი და პედაგოგი. აქვს ჰუმანიტარული და ფილოსოფიის ფაკულტეტის ხელოვნების მაგისტრის ხარისხი და სასარის მუსიკალური სკოლის ხარისხი ეთნომუსიკოლოგიაში. იგი დაინტერესებულია სარდინიული მუსიკისა და ფლამენკოს სიმღერის შესწავლით. 2011 წლიდან სისტემატურად ატარებს საველე კვლევას რამდენიმე ქალაქში (კორდოვა, გრანადა, სევილია) „საეტას“ და ანდალუსიური ვნების კვირის სხვა მუსიკალური მოვლენების შესწავლის მიზნით. მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე საერთაშორისო სიმპოზიუმში. 2019 წელს მისი დოკუმენტური ფილმი ესპანურ პოლიფონიაზე „მისტიკური სკა“ გახდა დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ფინალისტი.

მონტოროს (კორდოვა) პოლიფონია

ვნების კვირის დროს მონტოროში (კორდოვა) სრულდება მრავალხმიანი სიმღერა, რაც იშვიათი მოვლენაა იბერიის ნახევარკუნძულის რიტუალებისთვის. ახლა მას ასრულებს „მამა იესოს ღვთისმოსავი და უძველესი გუნდი“ 40 წევრის შემადგენლობით, რომელთა ხმები განაწილებულია რეგისტრების მიხედვით (პირველი ხმა, მეორე ხმა, ბანი). გუნდის რეპერტუარი შედგება ლათინურენოვანი საგალობლებისაგან, რომლებიც გადაურჩნენ მე-20 საუკუნის კატაკლიზმებს (სამოქალაქო ომი, ყველაზე გამოცდილი მომღერლების დაკარგვა, ემიგრაცია) და ჩვენამდე ზეპირი ტრადიციით მოაღწიეს ცალკეული ენთუზიასტების ძალისხმევით. მომღერლებს აცვიათ მამებისგან გადმოცემული მწვანე ფორმები – ტუნუკები გრძელი გადაჯვარედინებული ზონარებით, როგორც ვნების სიმბოლოები. დიდ პარასკევს, ღამით, ისინი ცხრასათიანი პროცესიის დროს, მიყვებიან იესოს ქანდაკებას და მღერაინ ტრადიციით დადგენილ სხვადასხვა ადგილას. სიმღერა “Et erexit” (“Benedictus”-ის მეორე კუბლეტი), რომელსაც მომღერლებიცა და საზოგადოებაც აღიქვამენ, როგორც მონტოროს ექსკლუზიურ მემკვიდრეობას, მოგონებებისა და გრძნობების სიმბოლოს, რომელიც თავისი რიტმული და მელოდიური მახასიათებლებით განსხვავდება სხვა სიმღერებისგან (“Stabat mater” და “Miserere”). ეს არის პოლიფონია, რომელიც ემყარება სამ სერიოზულ ხმას “falsebordone” სტილში, რომლებიც ზოგიერთ ასპექტში გრეგორისულ საგალობელს მოგვაგონებს; იგი გადმოცემულია ინტერვალებით 3^a და 8^a და მასში ხშირია ორმაგი პარალელიზმის ეპიზოდები (ტერცია და ოქტავა).

TIZIANA PALANDRANI

ITALY

An ethnomusicologist, poet and teacher. Holds a Master’s Degree in Art from the Faculty of Humanities and Philosophy, and a Degree in Ethnomusicology from the School of Music in Sassari (both degrees awarded with Honours, *magna cum Laude*). She has been focusing her research on biographical materials about Fryderyk Chopin for many years; her analytical essay on the musician will be published in 2020 by Brepols in the series “Speculum musicae”. Her interest in oral music has been expressed by studying the traditional music of Sardinia, as well as the *cante flamenco*. Since 2011, she is carrying out a systematic field investigation in several Andalusia’s towns, in order to study the saetas and other musical evidences of the Andalusian Holy Week. She has presented the results and materials of her research in several international Symposiums. In 2019 her documentary about Spanish polyphony, ‘Colmena mistica’ (Mystic hive), gained a finalist placement in the “*Rassegna internazionale di documentari «Vittorio De Seta»*”.

POLYPHONY IN MONTORO (CÓRDOBA)

During the Holy Week in Montoro (Córdoba) a polyvocal singing is performed, a rare phenomenon in the Easter rites of the Iberian Peninsula.

It is today carried on by the “*Piadoso y Antiquísimo Coro de Nuestro Padre Jesús Nazareno y María Santísima de los Dolores*” made up of about 40 cantors divided into three registers (first voice, second voice, bass). The choir’s repertoire includes Holy songs in Latin, orally transmitted and survived to unfavorable circumstances of the twentieth century (civil war, loss of the most experienced singers, emigration) thanks to the tenacity of some enthusiasts. The song “*Et erexit*” (second couplet of the *Benedictus*) is considered by the cantors and the community as an exclusive patrimony of Montoro, emblem of memories and feelings, and it is part of the repertoire together with other pieces, e.i. *Stabat Mater* and *Miserere*. It is a polyphony based on three serious voices in a “falsebordone” style, with some aspects that are reminiscent of Gregorian chant; it is expressed in intervals of 3^a, 5^a and 8^a and shows frequent episodes of double parallelism (third and octave).

The cantors wear a purple tunic handed down from father to son and crossed by long strings bearing the symbols of the Passion and, on Good Friday night, they accompany the statue of “*Padre Jesús*” during the 9-hour long procession, singing in various places codified by tradition.



ჟანა პარტლასი
ესტონეთი

ŽANNA PARTLAS
ESTONIA

Currently Senior Researcher at the Estonian Academy of Music and Theatre, Tallinn. She studied musicology at the Rimski-Korsakov State Conservatory, St. Petersburg. In 1992 she received her PhD from the same institution. Her research interests include Estonian, Mordovian and Russian folk song traditions, analytical approaches to traditional music, and general theoretical questions of traditional multipart singing. Since 1981 she has carried out field work in the Russian-Belorussian borderland, Estonia, and the Republic of Mordovia.

ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიის (ტალინი) უფროსი მეცნიერ მუშაკი. დაამთავრა პეტერბურგის რიმსკი-კორსაკოვის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია. 1992 წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებია ესტონური, მორდოვული და რუსული ხალხური სიმღერის ტრადიციები, ანალიტიკური მიდგომები მუსიკაში და ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის ზოგადი თეორიული საკითხები. 1981 წლიდან ეწევა საექსპედიციო საქმიანობას რუსეთ-ბელორუსიის სასაზღვრო რეგიონებში, ესტონეთსა და მორდოვიის რესპუბლიკაში.

CONTROLLED DISORDER IN POLYMUSIC: THE CASE OF THE SETO WEDDING SONG GENRE KAASITAMINE

The term “polymusic”, which has been in use in ethnomusicology since the 1990s, designates musical practices where two or more autonomous musical entities are deliberately performed in the same space and time in a completely or partly uncoordinated way. The musical texts – which may be the same or different – that are juxtaposed in a polymusical performance may also be performed separately; when performed together, however, they constitute a new complex “hypertext”, which has new meanings and functions and may to some extent be musically coordinated. Nevertheless, the main goal of polymusical performance is the creation of musical disorder, which being deliberately produced can be characterized as a controlled disorder. Such a disorder is a means to accomplish the ritual functions to which the polymusical genres are usually related and to induce some specific psychological effects, which are often connected with the manipulation of space and time. In this paper the theoretical, ethnographic and cognitive questions of polymusic are discussed using the case of the kaasitamine, the *Seto* wedding song genre from South-East Estonia. This research demonstrates the different traditional forms of *kaasitamine* performance characterised by the different balance between coordinated and uncoordinated components, analyses the more subtle mechanisms for the creation of controlled disorder, and investigate the psychological effects of polymusic related to the altered perception of time.

კონტროლირებადი უნარბოგობა პოლიმუსიკაში: სეტოს საქორნილო მუსიკის ჟანრი კაასიტამინა

ტერმინი „პოლიმუსიკა“, რომელიც ეთნომუსიკოლოგიაში 1990-იანი წლებიდან გამოიყენება აღნიშნავს მუსიკალურ პრაქტიკას სადაც ორი ან მეტი ავტონომიური მუსიკალური სუბიექტი განზრახ სრულდება ერთსა და იმავე სივრცეში და დროში მთლიანად ან ნაწილობრივ შეუთანხმებლად. პოლიმუსიკალურ შესრულებაში მომიწვანვე ერთნაირი ან განსხვავებული მუსიკალური ტექსტები შეიძლება ასევე შესრულდეს ცალ-ცალკე; ერთად შესრულების შემთხვევაში ისინი ქმნიან ახალ რთულ „ჰიპერტექსტს“, რომელსაც აქვს ახალი მნიშვნელობა და ფუნქციები, და შეიძლება გარკვეულწილად იყოს მუსიკალურად შეთანხმებული. ამის მიუხედავად, პოლიმუსიკალური შესრულების მთავარი მიზანია ისეთი მუსიკალური უნესრიგობის შექმნა, რომელიც იქმნება რა გამიზნულად შეიძლება შეფასდეს როგორც კონტროლირებადი უნესრიგობა. ასეთი უნესრიგობის საშუალებით შეიძლება შესრულდეს პოლიმუსიკის ჟანრებთან დაკავშირებული რიტუალური ფუნქციები და მოხდეს სივრცითა და დროით მანიპულირებასთან დაკავშირებული გარკვეული ფსიქოლოგიური ეფექტების სტიმულირება. მოხსენებაში პოლიმუსიკის თეორიული, ეთნოგრაფიული და შემეცნებითი საკითხები განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთის სეტოს საქორნილო სიმღერის ჟანრის კაასიტამინეს მაგალითზე. კვლევაში ნაჩვენებია კაასიტამინეს შესრულების სხვადასხვა ტრადიციულ ფორმები, რომლებიც ხასიათდება განსხვავებული ბალანსით კოორდინირებულ და არაკოორდინირებულ კომპონენტებს შორის, გაანალიზებულია კონტროლირებადი უნესრიგობის შექმნის უფრო დახვეწილი მექანიზმები და შესწავლილია დროის შეცვლილ აღქმასთან დაკავშირებული პოლიმუსიკის ფსიქოლოგიური ეფექტები.

შან ჯანგი

ჩინეთი



შანხაის კონსერვატორიის მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში. მისი კვლევის სფეროა ჩრდილოეთ ჩინეთისა და შიდა აზიის მომთაბარე ხალხების ჩასაბერი საკრავები.

ყაზახური სიბიზგის ბიფონური მორფოლოგია და მექანიზმი

(ქსიანგკუნ ლოუსთან თანაავტორობით)

სიბიზგი არის ყაზახური ჩასაბერი საკრავი; მისი არსებითი მუსიკალური მორფოლოგია არის ხორხისმიერი სიმღერით, როგორც ძირითადი ხმით, შექმნილი უნიკალური ბიფონური (ორხმიანობა) ეფექტი. ტერმინოლოგიაში, სიტყვა სიბიზგის წარმოება ჰგავს მონგოლურ ტერმინს – ცუურ, შიდა აზიის სტეპების მომთაბარე ხალხებში გავრცელებული ბიფონური სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვა. ამრიგად, ნაშრომში გაანალიზებულია სიბიზგის ბიფონური ფორმირების მექანიზმი ინტენსიური საველე სასწავლო სამუშაოების დროს დინამიკური სპექტროგრამის გამოყენებითა და მასზე დაკვრის გამოცდილებით. სპექტროგრამა გვიჩვენებს, როგორ ასტიმულირებს ხორხისმიერი მღერა საკრავის ხმას, როგორ ქმნის ორივე ერთად ბიფონურ ეფექტს და როგორ ცვლის ეტაპობრივად ტემბრს დაკვრის სხვადასხვა ტექნიკა. ამავდროულად, სიბიზგის დაკვრისას ჰარმონიზებული სტატუსის ოპტიმიზაციისთვის უმთავრესია პირის ღრუს კუნთების კარგად მართვა. ამრიგად, მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა არის ბიფონური ჰარმონიზაციის სტატუსი და როგორ შეიძლება მისი მიღწევა პირით რეგულირების საშუალებით. ხორხისმიერი სიმღერა და პირის ღრუთი დაკვრა სხვადასხვანაირ გავლენას ახდენს ჩაბერილ ბგერაზე და ქმნის სხვადასხვა კომბინირებულ ტემბრს. გარკვეული უპირატესობის მინიჭება ამა თუ იმ ტემბრისთვის კრიტერიუმია არა მხოლოდ კარგი მუსიკოსისთვის, არამედ სათემო იდენტიფიკაციისთვისაც: მოუხედავად იმისა, რომ შიდა აზიის სტეპებში ფართოდ არის გავრცელებული კონსტრუქციითა და დაკვრის ტექნიკით მსგავსი ბიფონური ჩასაბერი საკრავები, მათი „ტემბრული იდენტობა“ საკმაოდ მრავალფეროვანია. შიდა აზიის ბიფონური მუსიკის უანრების გაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტემბრზე ორიენტირებულ მიდგომაში.

SHAN ZHANG

CHINA

Master in Ethnomusicology at Shanghai Conservatory of Music. Focuses his fieldwork on the wind instruments of nomadic peoples of Northern China and Inner Asia.

THE BIPHONIC MORPHOLOGY OF KAZAKH SIBIZGI AND ITS CONSTITUENT MECHANISM

(Co-author Xiangkun Liu)

The *Sibizgi* is an edge-blown aerophone of the Kazakh people, whose quintessential musical morphology is the unique biphonic (with two voices) effect with throat singing as its fundamental voice. In nomenclature, the word formation of “Sibizgi” is similar to the Mongolian term *Tsuur* – the vocabulary for a biphonic status which is common among the nomadic peoples on the Inner Asian steppes. Thus, this paper will analyse the mechanism of the biphonic formation on the *Sibizgi*, based on learning and experiencing *Sibizgi* playing during intensive fieldwork sessions, with the help of dynamic spectrogram that demonstrates how the throat singing excites the sound of the pipe, how the two elaborates the biphonic effect, and how various playing techniques modifies the timbre step by step. Meanwhile, the key point of *Sibizgi* playing lies on the fine tuning of oral muscles to optimize the harmonizing status. Therefore, this paper also lays emphasis on what the biphonic harmonizing status is and how it can be achieved by oral fine tuning. The elaboration of throat singing and piping inside the oral cavity exerts various influence on the edge-blown sound and eventually forms different combined timbres. The Kazakh people’s preference for some certain timbre is not only the criteria for better musicians, but also for communal identification: Although biphonic wind instruments similar in construction and playing techniques are widespread on the Inner Asian steppes, their “timbral identities” are rather diverse. This perceptive approach centered on timbre is crucial to understanding the biphonic music genres across the Inner Asian steppes.



იოსებ ჟორდანია
ავსტრალია/საქართველო

მუსიკისმცოდნეობის დოქტორი, მეღებურნის უნივერსიტეტის მეღებურნის მუსიკის კონსერვატორიის, საპატიო წევრი. ეთნომუსიკალური განათლება მიიღო საქართველოში. 1993 წლიდან. თბილისი სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. არის ავსტრალიისა და საქართველოს მოქალაქე, 1995 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში.

1984 წელს დაიწყო ტრადიციული მრავალხმიანობის შესახებ კონფერენციებისა და სიმპოზიუმების სერიების ორგანიზება. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი წევრი და საზღვარგარეთის ბიუროს ხელმძღვანელი. არის ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ფინურ, პორტუგალიურ, ჩინურ, იაპონურ, ბულგარულ, რუსულ და ქართულ ენებზე 160-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიული კვლევის ტრადიციულ მრავალხმიანობაზე და ადამიანის ევოლუციაზე ქართულ, რუსულ, ინგლისურ, იაპონურ და ჩინურ ენებზე. 2009 წელს მიენიჭა ფუმო კოიჯუმის პრემია ეთნომუსიკოლოგიაში.

საანტიკონსერვატორიო და პოპულარული მუსიკის ნარმოზობა მუსიკის პირველყოფილი ბინარული ფუნქციის ჭრილში

თანამედროვე პოპულარული მუსიკის სხვადასხვა ფორმიდან ორი კონტრასტული ჯგუფი (პოპ მუსიკა და როკ მუსიკა) გამოირჩევა რამდენიმე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით (მელოდიის სტილი, სიმღერის სტილი, ჰარმონიის ტიპი, საკრავები, ხელოვნებისა და მათი მიმდევრების ზოგადი გზავნილი სცენაზე და სცენის მიღმა). პოპულარული მუსიკის ამ ორი სტილის ნარმოზობა უკავშირდება ადამიანური მუსიკის საწყის ბინარულ ფუნქციებს: 1) მოდუნება და 2) ძალისმიერი დაპირისპირებისთვის მომზადება. პირველ ფუნქციას ასრულებდა ზუზუნის, სოციალური ცხოველების საკონტაქტო ძახილი. მეორე ფუნქცია ასრულებდა ხმამალალი, რიტმულად მკაცრად ორგანიზებული რიტუალური მოქმედებით, სადაც დისონანსური ინტერვალებით მღერა, ფეხის ბაკუნის, ტაშის, ქვის დარტყმა შერწყმული იყო საბრძოლო ტრანსის გამომწვევ ტანის მუქარის შემცველ მოძრაობებთან, სადაც ადამიანები კარგავენ ფიქრის უნარს და ჯგუფის მოქმედებას ყვებიან. ხელოვნებისა და მათი მიმდევრების ქცევა გაანალიზებულია ამ უძველესი ევოლუციური ფუნქციების გათვალისწინებით.

JOSEPH JORDANIA

AUSRTALIA/GEORGIA

Doctor of Musicology, Honorary Fellow at the Melbourne Conservatorium of Music, University of Melbourne. Educated as an ethnomusicologist in Georgia. From 1993, Professor at Tbilisi State Conservatoire. Citizen of Australia and Georgia, has lived in Australia since 1995.

რეჟისორი: მარიო დო როსარიო პესტანა და ჟოაო ვალენტიმი; ოპერატორი: მარიო დო როსარიო პესტანა და ჟოაო ვალენტიმი; ხმის რეჟისორები: მარიო დო როსარიო პესტანა, ჟოაო ვალენტიმი, იოაკიმ ბრანკო და ანტონიო ვენტურა; ინტერვიუერი: მარიო დო როსარიო პესტანა; რედაქტორი: ჟოაო ვალენტიმი, თარგმანი: აოიფე ჰინეი ნელი: 2019; ხანგრძლივობა: 29'.

ოფიციალურად შექმნილი ჯგუფები ძირითადად იცავენ ორ ან სამ ხმაში, ტერციაში, ან პარალელურ ტერციასა და კვინტაში მღერის პირობით პოლიფონიურ რეპერტუარს. ამ ქალებმა იციან რეპერტუარი, აქვთ მუსიკალური უნარები, იციან ხმის პარტიები და უნდათ მათი დააცვა და აღიარება. მათ სურთ რომ გაუზიარონ და შემდეგ თათბებს გადასცენ ინტერსუბიექტური და ხმებში მღერის გამოცდილება. მათ გვთხოვენ თანამშრომლობა ამ ცოდნის დასაფიქსირებლად ეროვნულ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაში, იმ იმედით რომ მოგვიანებით ის შეყვანილი იქნებოდა იუნესკოს სიაში. ჩვენ შევექმენით ჯგუფი, ვესტუმრეთ გადაღების ადგილს და ვესაუბრეთ ათობით მომღერალს, წავახალისეთ ისინი რომ გაააქტიურონ და დააფასონ „ქალთა სიმღერა“, როგორც ზოგიერთი მას ეძახის. ეს დოკუმენტური ფილმი ამ შეხვედრისა და სწავლების ერთ-ერთი მონაწილეა.

იმ გყოფათთვის

რეჟისორი: ანტონიო ვენტურა; ოპერატორი: ჟოაო ვალენტიმი; ხმის რეჟისორი: ბერნარდო ლიმასი და ; ფერის კორექცია: ლეო დეჟისტო-ფორო; ნელი: 2017; ხანგრძლივობა: 10'.

“Encomendação das Almas”, ანუ „სულების გაშვება“ არის ყოველწლიური მუსიკალური პერფორმანსი, რომელიც ტარდება დიდი მარხვის დროს, შუალამისას, დანია-ანოვას მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში. ეთნოგრაფებმა და ფოლკლორისტებმა მისი დაფიქსირება დაიწყეს 1950-იანი წლებიდან და 2018 წლიდან კი დაიწყო მისი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარების პროცესი ადგილობრივი ხელისუფლების, მეცნიერებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ჯგუფის მონაწილეობით. სოფელში პენია გარსია, ქალების ჯგუფი ჩერდება სამ ამალღებულ ადგილზე ისე, რომ მათი ხმა მთელ სოფელში ისმოდეს. ამ ქალებს სწამთ, რომ მათი სიმღერა და ლოცვა მათ გარდაცვლილ ახლობლებს გაუძღვება სამოთხისკენ, სადაც მარადიულ სიმშვიდეს იხოვან. ეს ვიზუალური ეთნოგრაფია არის 2014 წელს დაწყებული კვლევის შედეგი რომელიც ემსახურება ამ და სხვა გამოვლენების, მისი მონაწილეებისა და კონტექსტების მნიშვნელობისა შესწავლასა და გავლენის გააზრებას 21 საუკუნის პენია გარსიაში.

POETICS OF POLYPHONIC SINGING

Direction: Maria do Rosário Pestana and João Valentim; Camera Operators: Maria do Rosário Pestana, João Valentim, Lea Managil and Rui Madeira; Sound: Maria do Rosário Pestana, João Valentim, Joaquim Branco and António Ventura; Interviews: Maria do Rosário Pestana; Edition: João Valentim; Translation: Aoife Hiney; Year: 2019 Duration: 29'.

Formally established groups safeguard a predominantly modal polyphonic repertoire, in two or three voices, in third or third and parallel fifths. These women have the knowledge of a repertoire, musical skills and vocals that they want to be safeguarded and recognized. They want to share and transmit to the next generations the intersubjective and preliminary experience of singing to voices that reverberate in their bodies. They requested our collaboration for the registration of this sensitive knowledge in the National Inventory of Intangible Cultural Heritage, with the expectation of a later registration in the UNESCO List. We created a team, set out on the ground, and talked to dozens of singers, encouraging them to activate and value the ‘women’s song’, as some like to call it. This documentary is one of the faces of this meeting and study.

FOR WHOM YOU HAVE THERE

Direction: António Ventura; DoP: João Valentim; Sound: António Ventura; Edition: Bernardo Limas and João Valentim; Year: 2017; Duration: 10'.

The “Encomendação das Almas”, literally “Comissioning of Souls”, is an annual musical performance that takes place during Lent, at midnight, in the streets of several villages of the municipality of Idanha-a-Nova. It began to be documented since the 1950s by various ethnographers and folklorists and in 2018 it justified a process of patrimonialization, in which the local authorities, local scholars and a significant group of locals participate. In the village of Penha Garcia, a female group stops at three high places so that their voices can be heard throughout the village. These women believe that singing and praying, they are guiding their loved ones who are no longer here, towards heaven, where they can find eternal peace. This visual ethnography is the result of an investigation taking place since 2014 that aims to understand the importance and impact that this and other manifestations, its protagonists and contexts have in the 21st century in Penha Garcia.

ფოლკლორული ანსამბლები

FOLK ENSEMBLES

საქართველო

თბილისი ადილეი
ანსამბლი ანჩისხატი
ბასიანი
დიდგორი
იალონი
კიმილია
მთიეზი
რუსთავი
სახიობა
შავნაბადა

GEORGIA

TBILISI ADILEI
ENSEMBLE ANCHISKHATI
BASIANI
DIDGORI
IALONI
KIMILIA
MTIEBI
RUSTAVI
SAKHIOBA
SHAVNABADA

ადილეი
თბილისი,
საქართველო



ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ადილეი 2012 წელს შეიქმნა. გურული სიმღერების მოყვარული მეგობრები დემეტრე ქირიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ; სახელიც ერთი გურული მგზავრული სიმღერისა დაირქვეს, რომელიც, ბიჭების აზრით, ყველაზე კარგად გამოხატავს მათს ხასიათსა და მისწრაფებებს.

ანსამბლის მთავარი შემოქმედებითი პრინციპი სოფელსა და ხალხურ მომღერლებზე სწორებაა. მათი ამოცანაა ხელი შეუწყონ ტრადიციული სიმღერა-გალობის ყოველდღიურობაში შემოტანასა და გაცოცხლებას: ღვინის სუფრებზე, სახალხო დღესასწაულებზე და სხვა. შესრულების პროცესში ყურადღებას იქცევს მღერის სილაღე და თავისუფლება.

ადილეის რეპერტუარში, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებია. ისინი ცდილობენ ამა თუ იმ სიმღერის იმპროვიზაციული, „ადილეისული“ ვარიანტი შესთავაზონ მსმენელს, შექმნან საკუთარი ხელწერა და სტილი.

ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს კულტურულ ღონისძიებებსა და საქველმოქმედო კონცერტებში, ფესტივალებში, სიმპოზიუმებში, ტელე და რადიოპროექტებში.

ადილეი 2015-16 წლების ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და II ადგილის პრიზიორია ნომინაციაში – ხალხური სიმღერის ახალგაზრდული ანსამბლი. საახალწლო მუსიკალური შეხვედრების ფარგლებში ადილეიმ სოლო კონცერტი გამართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ანსამბლს ჩატარებული აქვს კონცერტები, ვორკუპები და სემინარები იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, აშშ-სა და ბელგიაში. გამოცემული აქვს ერთი გრამფირფიტა (გამოცა აშშ-ში), ორი აუდიოალბომი – ერთი სოლო და ერთი იტალიის პრემიანას მხარის მომღერლებთან ერთობლივად, აგრეთვე ორი ელექტრონული ალბომი – ხალხური სიმღერის თვითმასწავლებელი (საქართველოს სხვადასხვა კუთხის 10-10 სიმღერა).

ADILEI
TBILISI, GEORGIA

Male folk ensemble *Adilei* was created in 2012 by the Gurian song-lovers on the initiative of Demetre Kiria, and called themselves after a Gurian travelers' song, which in their opinion expresses their characters and aims best. The creative principles of *Adilei* is to be orientated on village and folk singers. The group strives to revive traditional songs and chants and bring them back to everyday life: at feast, folk celebrations, etc. Noteworthy is the free performance manner of the collective. The repertoire of *Adilei* basically includes the songs from different parts of Western Georgia. The group strives to offer the listeners different – their own improvisational variants of songs, create their own manner and style, the signs of which have been marked out at their public performances.

The ensemble actively participates in cultural events and charity concerts; festivals, symposia, television and radio projects. *Adilei* is a laureate and II place winner in the nomination – *youth folk ensemble* at the 2015-2016 National Folklore Festival. Within the framework of New Year music meetings, *Adilei* held a solo concert at the Grand Hall of Tbilisi State Conservatoire. The ensemble has held concerts, led workshops and seminars in Italy, Germany, France, USA and Belgium. Has released an LP (in the USA), two audio albums – one solo and the other together with the singers from Premana (Italy), and two electronic albums – *Teach yourself folk song* (10 songs from each region of Georgia).



ანსამბლი ანჩისხატი

თბილისი, საძარტველო

1988 წელს შექმნილი ლეგენდარული ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის შემოქმედებით ბირთვისგან ჩამოყალიბებული ცხრაკაციანი ჯგუფი – *ანსამბლი ანჩისხატი* – სამი წელია აქტიურად მოღვაწეობს. უცვლელი დარჩა შემოქმედებითი პრინციპები – ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის მარგალიტების მაღალსაშემსრულებლო დონით გადმოცემა და პოპულარიზაცია. *ანსამბლი ანჩისხატი* კონცერტებს მართავს როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლი მონაწილეობდა სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალში; ჩაატარა სოლო კონცერტები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში: ჰამბურგის ერთ-ერთ მთავარ საკონცერტო დარბაზში – ელბფილარმონიაში, აგრეთვე შტუტგარდტსა და ბასში.

2018 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა *ანსამბლ ანჩისხატის* საიუბილეო სოლო კონცერტი, სრულიად განახლებული, ფართო საზოგადოებისთვის უცხო და მივიწყებული სიმღერებისგან შემდგარი რეპერტუარით. მალევე გამოიცა ამ კონცერტის აუდიოჩანაწერი – „სიმღერას ვბედავ“. *ანსამბლ ანჩისხატის* შემოქმედებას და განუმეორებელ ჟღერადობას განსაკუთრებულ ელ-ფერს სძენს ამ ანსამბლში სხვადასხვა თაობის მომღერლთა თავმოყრა. ანსამბლის ძველი წევრების – დავით შულღიაშვილის, დავით ზათიაშვილის, ლევან ვეშაპიძის, მამუკა კიკნაძის, დავით მეგრელიძის და გოჩა ბალავაძის მრავალწლიანი საშემსრულებლო გამოცდილებას დღეს გვერდს უმშვენებს და ახალ ენერჯის სძენს მათთან ნიჭიერი ახალგაზრდების – დავით კოლეიშვილის, გიგა ჩხაპელიასა და დავით ცერცვაძის შემოქმედებითი გაერთიანება და მეგობრობა.

ENSEMBLE ANCHISKHATI

TBILISI, GEORGIA

Ensemble Anchiskhati – a nine-member group formed from the creative core of the legendary Anchiskhati choir, founded in 1988, has been active for three years. The creative principles have remained unchanged – high performance mastery and popularization of the pearls of Georgian folk songs and traditional hymns.

Ensemble Anchiskhati holds concerts in various parts of Georgia and elsewhere. During this time the ensemble participated in various music festivals; held solo concerts in different cities of Germany: at Elbphilharmonie – one of the leading concert venues in Hamburg, also in Stuttgart and Bass.

In 2018 Tbilisi State Conservatoire hosted *Ensemble Anchiskhati*'s solo concert, with a completely different repertoire comprised of the songs unknown and forgotten to the general public. This was soon followed by the audio recording of the concert – “I dare to sing”.

A gathering of different generation singers in this ensemble adds special hue to the creativity and the unique sound of *Ensemble Anchiskhati*. Long-standing performance experience of the ensemble's old members – Davit Shugliashvili, Davit Zatiashvili, Levan Veshapidze, Mamuka Kiknadze, Davit Megreldze and Gocha Balavadze is adorned and filled with new energy thanks to close creative unity and friendship with the talented young singers – Davit Koleishvili, Giga Chkhapelia and Davit Tsertsvadze.

ბასიანი
თბილისი,
საქართველო



ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი ბასიანი 2000 წელს საქართველოს საპატრიარქოში ჩამოყალიბდა. 2013 წელს კი მას საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა.

ბასიანი ექსპედიციებითა და კონცერტებით სტუმრობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონს, აღადგენს სიმღერა-გალობის მივიწყებულ ნიმუშებს, მონაწილეობს პრესტიჟულ ფესტივალებსა და კონცერტებში, მართავს მასტერკლასებს მსოფლიოს ცნობილ დარბაზებსა და უნივერსიტეტებში, გამოსცემს კომპაქტდისკებს (ანსამბლს ჩანერილი და გამოცემული აქვს ტრადიციული სიმღერა-გალობის 300-ზე მეტი ნიმუში, რომლებიც მთელ მსოფლიოში ვრცელდება).

ბასიანის წარმატებული გამოსვლების შესახებ არაერთგზის აღინიშნა საერთაშორისო მედიასივრცეში. სტატიის ავტორები ქართულ ტრადიციულ პოლიფონიას ზეციურ ხმებს ადარებენ და ანსამბლის კონცერტებს არაამქვეყნიურს, მომავადობებს უწოდებენ.

BASIANI
TBILISI, GEORGIA

Georgian Folk Song Ensemble *Basiani* was founded in 2000 at the Georgian Patriarchy. Later, in 2013, *Basiani* was conferred the status of State Ensemble of Georgia.

Basiani actively popularizes Georgian traditional polyphony – revives a large number of traditional music samples, holds concerts and organizes expeditions to different regions of Georgia, participates in many international prestigious festivals and events, leads master-classes and workshops in world-known concert halls and universities, releases CDs (this till day *Basiani* has released up to 300 folk songs and chants, which are spread worldwide).

The Ensemble's successful performances have repeatedly been mentioned in various international media, where Georgian Polyphony is considered as the sound from Heaven and performances of *Basiani* – as an otherworldly mesmerizing performance.

დიდგორი
თბილისი,
საქართველო



მაგლობელ-მომღერალთა გუნდი დიდგორი 2004 წელს შეიქმნა. მასში ქართული ხალხური სიმღერა-გალობის მოყვარული ახალგაზრდა შემსრულებლები ლევან წიტიანიშვილის ხელმძღვანელობით გაერთიანდნენ. ანსამბლს სახელი არქიმანდრიტმა იოანემ (კიკვაძე) შეურჩია. დიდგორელთა დებიუტი 2006 წელს შედგა. 2007 წლის ოქტომბრიდან ანსამბლი ხელმძღვანელის გარეშე მოღვაწეობს.

დიდგორის სამემსრულებლო-შემოქმედებითი სტილი და მანერა ტრადიციულია. ანსამბლი გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობითა და მაღალი სამემსრულებლო ოსტატობით.

დიდგორი აქტიურად მონაწილეობს კონცერტებსა და ფესტივალებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ანსამბლმა სამი სოლო კონცერტი გამართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

2012 წელს დიდგორელებმა განახორციელეს პროექტი ჩემო კარგო ქვეყანავ, რომლის ფარგლებშიც იმოგზაურეს საქართველოს კუთხეებში და ადგილობრივ ანსამბლებთან ერთად გამართეს კონცერტები. ანსამბლმა საკონცერტო ტურნეებით მოიარა ჩეხეთი, პოლონეთი, რუსეთი, უზბეკეთი, ავსტრია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, კანადა.

2013-14 წლებში დიდგორმა, ლატვიის სახელმწიფო გუნდ ლატვიასთან ერთად, რიგასა და თბილისში წარმატებით განახორციელა პროექტი ქართული მოტივები, რომლის რეპერტუარი შედგებოდა ქართული ტრადიციული მუსიკის მოტივებზე ლატვიელი კომპოზიტორების მიერ სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი ნაწარმოებებისაგან. მათში ორგანულად იყო ჩართული ქართული ავთენტური სიმღერა-გალობა.

2015 წელს ანსამბლ დიდგორს ქართული სიმღერის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა ფონდ ქართული გალობის ფულადი ჯილდო და სიგელი. ანსამბლი 2015-16 წლების ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და I ადგილის პრიზორია ნომინაციაში – ხალხური სიმღერის ახალგაზრდული ანსამბლი.

გამოცემული აქვს ორი აუდიოალბომი. ამჟამად მუშაობენ მეგრული და აფხაზური სიმღერების ალბომის ჩანერასა და გამოცემაზე.

DIDGORI

TBILISI, GEORGIA

Choir of singer-chanters *Didgori* was created in 2004 from the young lovers of folk song with Levan Tsitaishvili’s direction. They debuted in 2006 at Tbilisi House of Film. The name of the group was selected by archimandrite Ioane (Kikvadze).

Since 2007 *Didgori* carries out its activity without a leader.

Didgori holds to traditional performance style and manner. The group seeks for and revives the old masters’ variants from archival recordings.

Didgori takes active part in concerts and festivals both in and outside Georgia. In 2012 the Ensemble initiated the project *My beloved country*, as part of which it travels to various regions of Georgia, meets local singers and participates in joint concerts. The ensemble has toured with concerts to Czech Republic, Poland, Russia, Uzbekistan, Austria, Germany, Great Britain, France, Switzerland, Canada.

In September, 2013 *Didgori* and Latvian State Choir performed in the concert with joint repertoire, created especially for this project, consisting of the pieces by Latvian authors composed on the motifs of Georgian traditional music organically including Georgian authentic songs and chants.

In 2015 *Georgian Chanting Foundation* awarded a cash prize and a diploma to ensemble *Didgori* for its contribution to the popularization of Georgian song. *Didgori* is a laureate and I prize winner in the nomination – *youth folk ensemble* at the 2015-2016 National Folklore Festival. *Didgori* members are chanters at Ilia the Prophet Church in Tbilisi. The ensemble has released two audio albums. Currently they are working on the album of Megrelian and Abkhazian songs.

იალონი
თბილისი,
საქართველო



მგალობელ-მომღერალ ქალთა გუნდი იალონი შეიქმნა 2009 წელს, თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდის ბაზაზე, ნინო ნანეიშვილის ხელმძღვანელობით. მათი ამოცანაა ტრადიციული საეკლესიო გალობის, ხალხური და ქალაქური სიმღერის ნიმუშების პოპულარიზაცია.

იალონის რეპერტუარი საარქივო ჩანაწერებისა და სანოტო ხელნაწერების, საექსპედიციო კოლექციებისა და გამოცემული კრებულების საფუძველზე შეირჩევა. განსაკუთრებული ყურადღება შედარებით უცნობი ნიმუშების გაცოცხლებას ეთმობა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით, 2016 წელს იალონმა საქართველოს რეგიონებში კონცერტებითა და მასტერკლასებით იმოგზაურა. პროექტის შედეგად მომზადდა დოკუმენტრეჟიანი დოკუმენტური ფილმი *ფოლკლორული ჩანახატები* და ფოტოხელოვან ლევან ვაზნარელის ექსპოზიცია.

ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა თუ საზღვარგარეთ გამართულ ტრადიციული მუსიკის საღამოებსა და კონცერტებში, ფესტივალებში, სიმპოზიუმებში, კონკურსებში. იალონი 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი და პირველი ადგილის პრიზიორია ნომინაციაში – *ხალხური სიმღერის ქალთა ანსამბლი*. 2017 წელს კი, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში, ანსამბლმა გრან პრი მოიპოვა გალობის მიმართულებით და პირველი ადგილი და ოქროს მედალი – ქართული ხალხური სიმღერის მიმართულებით.

ბოლო წლებში იალონმა გამართა კონცერტებისა და მასტერკლასების ციკლი ჰოლანდიის ოთხ ქალაქში, გუნდ ოქტოიხის მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე. 2018 წლიდან ანსამბლი შემოქმედებითად თანამშრომლობს ლონდონის Rose Bruford-ის დრამისა და თეატრის კოლეჯთან, ქართული სიმღერების შემსრულებელ ანსამბლ *მასპინძელთან* და კემბრიჯის გუნდ *ჩელასთან*.

იალონს გამოცემული აქვს ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერებისა და ტრადიციული საგალობლების ოთხი აუდიო და ერთი ვიდეო დისკი; მათ შორისაა *რვა ხმა ღმერთი უფალისა და აღდგომის ტროპეების* სასწავლო აუდიო დისკი. 2011 წელს გამოიცა *იალონისა* და გუნდ *ისონის* მიერ შესრულებული პოლონური საშობაო სიმღერების ალბომი, ხოლო ჰაინოვკის მართლმადიდებლური მუსიკის ფესტივალ-კონკურსის რჩეულ ჩანაწერებში შევიდა ანსამბლის მიერ შესრულებული სამი ქართული საგალობელი. 2016 წელს გამოიცა იალონის საავტორო პროექტის – *მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე* – საკონცერტო ჩანაწერის აუდიო და DVD ალბომები.

IALONI
TBILISI, GEORGIA

Female chanters' group *Ialoni* was created in 2009 under Nino Naneishvili's direction on the basis of Ioane Ghytismetqveli church choir. Their aim is popularization of traditional church hymns, folk and urban songs.

Ialoni selects its repertoire from archival recordings and music collections, expedition recordings and published collections. Particular attention is paid to the revival of relatively unknown examples.

With the financial support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia, in 2016 *Ialoni* held concerts and workshops in the regions of Georgia.

The project resulted in the preparation of a short documentary film *Folklore Sketches* and an exposition of photographer Levan Vaznareli.

The ensemble actively participates in the evenings and concerts, festivals, symposia, competitions of traditional music in and outside Georgia. *Ialoni* is a laureate and I prize winner of the 2015-2016 National Folklore Festival in the nomination – *female folk ensemble*. In 2017 at the National Competition of Children's and Juvenile Choirs of Georgia *Ialoni* was a Grand Prix winner in chanting and won first place and a gold medal in Georgian folk song.

In recent years *Ialoni* held a series of concerts and workshops in 4 cities of the Netherlands, at the festival organized by the choir *Ostoich*. Since 2018 the ensemble has had creative collaboration with Rose Bruford College of Theatre, ensemble of Georgian folk song *Maspindzeli* and *Chela* choir from Cambridge. *Ialoni* has released four audio and one video disk of Georgian folk and urban songs and traditional hymns, these include a teaching audio disk "Ghmerti Upali and Sunday Hymns", in 2011 the album of Polish Christmas Songs together with choir *Ison*, Selected recordings of the International Church Music Festival in Haunowka includes three Georgian hymns as performed by *Ialoni*. Audio and video albums of the concert recording of *Ialoni's* project "From the Sunrise to the Sunset" were released in 2016.

კიმილია თბილისი



კიმილია 2018 წელს შეიქმნა. ახალგაზრდა ფრანგ ქალბატონს ზოე პერეს ანსამბლის შექმნის სურვილი ქართულ პოლიფონიასთან ზიარებისა და საქართველოში მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ გაუჩნდა.

სულხან-საბას მიხედვით, კიმილი არის სამკაული, ძვირფასეულობა; მრავალხმიანი სიმღერა-გალობა კი თავადაა აუნწონავი საგანძური, რომელსაც უთვალავი სამკაული და თვალ-მარგალიტიც ვერ გადასწონის, – ამიტომ მოერგო ანსამბლს ასე კარგად ეს სახელი. კიმილიას ხელმძღვანელის განმარტებით, ისინი, პირველ რიგში, ცდილობენ თავისებურად ააღორძინონ და გააცოცხლონ ქართული და ფრანგული პოლიფონიის უძველესი მარგალიტები; თავისებურება კი ამ ნიმუშების გათავისებასა და ახალი სიცოცხლის მიინჭებაშია. საკუთარი ინტერპრეტაციის ძიებისას იყენებენ საშემსრულებლო ხერხს, რომელიც დაფუძნებულია ბუნებრივი ხმის გათავისუფლებასა და სხეულთან შერწყმის პრინციპზე.

ანსამბლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა ქვეყნისა და განსხვავებული მიმართულების მუსიკოსებთან თანამშრომლობას. პირველი ექსპერიმენტი შედგა უდის დამკვეთელ იბანთუთასთან. საფრანგეთის ტურის დროს კი, 2019 წელს, ქალაქ ბაიონაში ფესტივალ *ლეს ეთიოპიკის (Les Ethiopique)* ფარგლებში ერთობლივი პროექტი განახორციელეს ცნობილ ბასკ მომღერლებთან – მადი ოენარტსა და დიულენ აშიარისთან ერთად. მსგავსი ერთობლივი პროექტები სხვა მუსიკოსებთან მომავალშიც იგეგმება.

კიმილია ხშირად მონაწილეობს ფესტივალებსა და სატელევიზიო გადაცემებში. ამ წლის ბოლოს გამოქვეყნდება ფრანგმა რეჟისორმა ვინსენტ მუნიმ კიმილიაზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო, რომლის პრეზენტაციაც 2020 წლის ბოლოს შედგება.

კიმილიას 2019 წელს გამოცემულ პირველ აუდიოალბომში, ქართული პოლიფონიის გვერდით, რამდენიმე ადრეული ფრანგული მუსიკის ნიმუშიცაა შესული. ამჟამად ანსამბლი მეორე ალბომზე მუშაობს.

KIMILIA TBILISI

Kimilia was created in 2018. After having got to know Georgian polyphony and having lived in Georgia for many years, a young Frenchwoman Zoe Perret decided to create an ensemble.

According to Sulkhan-Saba, *kimili* is a jewel: a polyphonic song is an invaluable treasure that cannot be outweighed by gems and pearls - so this face fits the ensemble well.

As the director of the ensemble notes they try to revive ancient examples of Georgian and French polyphony in their own way; internalize them and breathe new life into them.

In the search for their own interpretation, they use a performance technique based on the principle of releasing natural sound and merging it with the body.

The ensemble attaches great importance to cooperation with musicians from different countries and different directions. The first experiment took place with oud player Ibantuta. During the tour in France in 2019, within the framework of the festival *Les Ethiopique* in the city of Bayonne they realized a joint project with famous Basque singers Maddi Oyhenart and Julien Achiary. Similar projects are planned with other musicians in the future.

Kimilia often participates in festival and television programs. French filmmaker Vincent Moon made a film about *Kimilia*; its presentation will be held at the end of 2020.

Along with Georgian polyphony *Kimilia's* first audio album released in 2019 comprises several early examples of French music. Currently the group is working on the second album.



მთიები
თბილისი,
საქართველო

1980 წელს ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ თანატოლებისაგან შექმნა ანსამბლი *მთიები*, რომელმაც რადიკალურად შემოაბრუნა სასცენო ფოლკლორული შემსრულებლობა ავთენტიკური სტილისკენ. ანსამბლის პოპულარობა მალე გასცდა საქართველოს ფარგლებს – ევროპის ქვეყნებსა თუ ამერიკაში *მთიების* კონცერტებს არასდროს დაჰკლებია ოვაციები, ბევრმა უცხოელმა მათგან შეიყვარა და შეისწავლა ქართული ხალხური სიმღერა.

1991 წლიდან მეორე თაობის *მთიები* ქალ-ვაჟთა ანსამბლად ჩამოყალიბდა, რომელშიც ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია *ამერ-იმერში* აღზრდილი გოგობიჭები გაერთიანდნენ. ანსამბლის დამაარსებლის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, 2001 წლიდან, *მთიებს* ედიშერის ვაჟი, ეთნოლოგი გიგი გარაყანიძე ჩაუდგა სათავეში, წარმატებით განაგრძო მისი საქმე და დღეს ანსამბლი *ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრი მთიების* სახელით მოღვაწეობს. 2012 წელს ანსამბლის ახალგაზრდა ხელმძღვანელის მოულოდნელი გარდაცვალება კიდევ ერთი გამოცდა იყო ანსამბლისათვის, მაგრამ *ეთნომუსიკის თეატრმა* დაძლია კრიზისი და 2014 წელს გამართა თეატრალიზებული საღამო – *ზარი*, რომელიც გიგი გარაყანიძისა და ანსამბლის ასევე უდროოდ დაღუპული წევრის, გიგა ხაინდრავას ხსოვნას მიეძღვნა.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ქართულ ყოფაში არსებული ეთნომუსიკის თეატრის სცენებისა და ელემენტების თუ კონკრეტული რიტუალების სცენაზე გაცოცხლება-გათამაშება *მთიების* ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედებითი ამოცანაა: გარდა ზემოხსენებულისა, აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში გამართული თემატური ფოლკლორული საღამოები – *ხატობა*, *ქართული ქორწილი* და *ლიფანალი*.

მთიებს 2012 წლიდან მაგდა კველიშვილი ხელმძღვანელობს. ანსამბლი თითქმის ყოველ წელს თბილისში მართავს შემოქმედებით კონცერტს, ბევრს მოგზაურობს საკონცერტო ტურნეებით ევროპის ქვეყნებში; გამოცემული აქვს 15-მდე CD და DVD ალბომი.

მთიები 2012 წლის ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატია.

2016 წელს ეთნომუსიკის თეატრ *მთიებს* ნომინაციაში ქართული ფოლკლორის მოამაგენი ფოლკლორული ტრადიციების აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა ფონდ *ქართული გალობის* ფულადი ჯილდო და სიგელი.

MTIEBI
TBILISI, GEORGIA

Young ethnomusicologist Edisher Garaqanidze created folk ensemble *Mtiebi* together with his peers in 1980. The creative principle of the Ensemble was strictly determined from the start: to perform true, unsullied, unprefixed folk examples on the stage, exactly the way they had been performed in everyday life – with dances, round dances, instrumental accompaniment, improvised comic verses, etc. *Mtiebi* made a radical turn in folk music performance. The Ensemble’s popularity exceeded the borders of Georgia, their performance was always met with burst of applause in Europe and America. Thanks to *Mtiebi* many foreigners fell in love with Georgian folk music and studied.

In 1991 second generation of *Mtiebi* took over. It was a mixed female-male ensemble, with the membership of the alumni of *Amer-Imeri* Children’s folk-ethnographic studio. After Edisher’s tragic death in 2001, his son ethnologist Gigi Garaqanidze directed the Ensemble until his decease. Thus Gigi perfected his father’s work and uttered a new word in Georgian folk performance. In 2012 unexpected decease of the ensemble’s young director was another test for *Mtiebi*, but the collective managed to overcome the crisis and in 2014 ensemble performed another theateralized evening – *Zari*, dedicated to the memory of Gigi Garaqanidze and Giga Khaindrava.

One of the main creative tasks of *Mtiebi* is to perform the elements and scenes or specific rituals from the ethnomusical theater of Georgian life mode on the stage: in addition to the afore-mentioned, noteworthy are thematic evenings of folklore – *khatoba*, Georgian wedding and *Lipnali* held in recent years. Since 2012 *Mtiebi* has been directed by Magda Kevlishvili. Almost every year the ensemble holds creative concerts in Tbilisi, with concert tours travels a lot to European countries; has released about 15 audio and video albums.

For its particular contribution to the revival and popularization of folk traditions in 2012 Georgian Chanting Foundation awarded a cash prize and a deed to *Ethnomusic Theatre Mtiebi* in the nomination Beneficents of Georgian Folklore.



რუსთავი
 თბილისი,
 საქართველო

საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი *რუსთავი* 1968 წელს შეიქმნა. მისი დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ანზორ ერქომაიშვილი – ერქომაიშვილების მუსიკალური დინასტიის მეშვიდე თაობის წარმომადგენელი.

რუსთავი ათეული წლებია წაყოფიერად მოღვაწეობს: აღადგენს მივიწყებულ ძველ ხალხურ სიმღერებს, გამოსცემს აუდიოალბომებს, მართავს კონცერტებს, მონაწილეობს ფესტივალებში, რადიო და სატელევიზიო გადაცემებში, იღებს და ახმოვანებს კინოფილმებს, მოგზაურობს უცხოეთში და ქართულ ფოლკლორს აცნობს მსოფლიოს. *რუსთავმა* წარმატებით მოიარა მსოფლიოს 70-მდე ქვეყანა (ბევრი მათგანი რამდენჯერმე), ჩაატარა 4000-მდე კონცერტი, მათ შორის – ისეთ პრესტიჟულ დარბაზებში, როგორცაა პარიზის ოლიმპია, მოგადორი და ფლეიერის თეატრი, ლონდონის ალბერტ ჰოლი, მოსკოვის დიდი თეატრი, სანკტ-პეტერბურგის, ვენის, ამსტერდამის, ნიუ-იორკის, ტოკიოს, ქაიროს, რომის, შანხაის, ბერლინის და მსოფლიოს სხვა ქალაქების დიდი საკონცერტო დარბაზები.

სხვადასხვა დროს გრამფირფიტებსა და კომპაქტურ დისკებზე ჩანერილი და გამოცემული აქვს 700-მდე ქართული ხალხური სიმღერა-საგალობელი და მათი ვარიანტები. მათგან 318 სიმღერა ჩაინერა იაპონურმა ფირმამ “SONY”.

ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ანსამბლი *რუსთავი* დაჯილდოებულია ზაქარია ფალიაშვილის (1981), ალბერტ შვაიცერის (1986) და საქართველოს სახელმწიფო (2002) პრემიებით.

2009 წელს, ანსამბლის დაარსებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავად, გაიმართა გრანდიოზული საიუბილეო კონცერტი და ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მისი ვარსკვლავი გაიხსნა. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა ანზორ ერქომაიშვილის ნიგნი – *ქართული ხალხური სიმღერა. ანსამბლი რუსთავი* – თანდართული 8 კომპაქტდისკით, ანსამბლის ყველა თაობის მონაწილეობით.

RUSTAVI
 TBILISI, GEORGIA

Georgian State academic ensemble *Rustavi* was created in 1968. Its founder and artistic director is Anzor Erkomaishvili – People’s Artist of Georgia, a laureate of Shota Rustaveli Prize – a representative of the seventh generation of Erkomaishvili musical dynasty.

Rustavi has been productive for decades: revives forgotten folk songs, releases audio albums, holds concerts, participates in festivals, radio and television programs, shoots and dubs films, travels abroad and presents Georgian folklore to the world. *Rustavi* has successfully toured about 70 countries of the world (many of them several times), has performed in about 4000 concerts, including at the most prestigious concert venues such as Olympia, Mogador theater, Pleyel Salle Paris, Albert Hall London, Bolshoi Theatre Moscow, grand concert halls of Sankt Petersburg, Vienna, Amsterdam, New York, Tokyo, Cairo, Rome, Shanghai, Berlin, and others.

At various times *Rustavi* recorded and published about 700 Georgian folk songs, church hymns and their variants on LPs and CDs. 318 of them were recorded by a Japanese company “SONY”. For its outstanding contribution to the development of Georgian culture, ensemble *Rustavi* was awarded the Zakaria Paliashvili (1981), Albert Schweitzer (1986) and the Georgian State (2002) Prizes.

The 40th anniversary of the ensemble was celebrated by a grand jubilee concert and opening of its star in front of the Philharmonic Hall in 2009. In connection with this date published was Anzor Erkomaishvili’s book “Georgian Folk Song. Ensemble Rustavi” enclosed with 8 CDs was published, with the participation of ensemble’s all generations.

სახიობა თბილისი, საქართველო



ანსამბლი *სახიობა* ჩამოყალიბდა 2006 წელს. მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელია ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სპეციალისტი, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი, ანჩისხატის ტაძრის გუნდის რეგენტი მალხაზ ერქვანიძე.

ანსამბლი „ანჩისხატელთა“ გამოცდილებას ეყრდნობა და ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს ტრადიციული სიმღერა-საგალობლების ძველი ქართული ბგერათანწყობის აღდგენაში. მისი მიზანია შუასაუკუნეების ქართული გალობის აღდგენა-პოპულარიზაცია, ქართული საგალობლების ხელნაწერთა რედაქტირება და სანოტო კრებულების გამოცემა თანდართული აუდიოდისკებით, ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მომღერალ-ლოტბარებთან შეხვედრები და ერთობლივი კონცერტები... რეპერტუარის ძირითადი წყაროა ძველი საარქივო და საექსპედიციო ჩანაწერები, მათ შორის – თავად ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ მოპოვებული.

სახიობა რეგულარულად მონაწილეობს ფოლკლორისა და ტრადიციული გალობის საერთაშორისო ფესტივალებში, ჩატარებული აქვს მრავალი სოლო კონცერტი საზღვარგარეთ (ხორვატია, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, პოლონეთი, ლიეტუვა, იტალია). 2011 წელს ანსამბლმა დიდ ბრიტანეთში 14 კონცერტი გამართა, 2012 წელს კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში 26 კონცერტი და მასტერკლასი ჩაატარა.

თითქმის ყოველ წელს ანსამბლი, განახლებული რეპერტუარით, საანგარიშო კონცერტს მართავს თბილისში. 2016 წელს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა სახიობას 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი და გამოიცა საუბუნლო აუდიო-ვიდეო ალბომი ანსამბლის მოკლე ისტორიით.

2018 წელს *სახიობამ* გამართა მე-9 სოლო კონცერტი, რომელიც განსაკუთრებული იყო იმით, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად, მეორე განყოფილებაში წარმოადგინა მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული სასიმღერო ნიმუშები (სამხრეთ აფრიკა, ირლანდია, სარდინია, ინგლისი, ამერიკული ქანთრი...). კონცერტმა ანსამბლის წევრთა საშემსრულებლო შესაძლებლობები სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩინა. მოგვიანებით ამ კონცერტის აუდიოდისკიც გამოიცა. *სახიობას* გამოცემული აქვს ხალხური სიმღერისა და გალობის რვა აუდიოდისკი.

SAKHIOBA

TBILISI, GEORGIA

Ensemble *Sakhioba* was created in 2006. It is directed by Malkhaz Erkvanidze – ethnomusicologist, Doctor of Social Sciences, specialist of the Georgian Folk Music Department, one of the founder of *Anchiskhati Church Choir*, di-rector of the Mama Davit Garejeli Church choir.

Sakhioba holds to the experience of *Anchiskhati* and strives to contribute to the revival of old Georgian scale. The group aims to revive and popularize medieval Georgian chant, edit the manuscripts of Georgian chants and publish them as collections supplied with audio CDs, organize field expeditions to various parts of Georgia, meet local song-masters and perform in joint concerts with them. Main source for its repertoire are old archival and field expedition recordings, including those obtained by Malkhaz Erkvanidze himself.

Sakhioba regularly participates in the international festivals of folklore and traditional chanting, has held many solo concerts abroad (Croatia, Ukraine, Great Britain, USA, Poland, Lietuva, Italy). In 2011 the ensemble held 14 concerts in Great Britain, 26 concerts and workshops in the USA in 2012.

Almost every year *Sakhioba* holds reporting concert with updated repertoire in Tbilisi. In 2016 Grand Hall of Tbilisi State Conservatoire hosted the concert dedicated to *Sakhioba*'s 10th anniversary and a jubilee audio-video album with a short history of the ensemble was released. In 2018 *Sakhioba* performed its 9th solo concert, distinguished by the fact that along with Georgian folk songs, examples of traditional songs of the world peoples (South Africa, Ireland, Sardinia, England, American country music) of the world were performed in the second section. The concert presented the ensemble members' performing abilities from a completely new side. An audio CD of this concert was released later. In total, *Sakhioba* has released 8 audio CDs of folk songs and church hymns.

შავნაბადა
თბილისი,
საქართველო



SHAVNABADA
TBILISI, GEORGIA

Male folk ensemble *Shavnabada* was created in 2005, young song-master Davit Tsintsadze collected the former members of the boys' ensembles *Martve* and *Bichebi*.

The Ensemble's repertoire includes folk songs and traditional hymns from all over Georgia. *Shavnabada* keeps to folk performance traditions and strives to study songs from archival recordings and directly from folk performers.

Shavnabada has held a number of solo concerts in Georgia, often performs in concerts and holds work-shops outside Georgia (Turkey, France/Corsica, Scotland, Switzerland, Holland, UK, etc), participates in international festivals. *Shavnabada* has released 4 CDs of folk songs, one DVD album, and a 2 multi-disk educational audio album of liturgy and prayers, prepared with the blessing of Ilia II, the Catholicos-Patriarch of all Georgia, and is disseminated free of charge to all, willing to study chants.

In 2016 *Shavnabada* was conferred the status State Ensemble of Abkhazia.

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი *შავნაბადა* 2005 წელს ჩამოყალიბდა, ახალგაზრდა ლოტბარმა დავით ცინცაძემ თავი მოუყარა ბიჭუნათა ანსამბლების – *მართვესა* და *ბიჭების* აღზრდილებს.

შავნაბადას რეპერტუარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხური სიმღერა და ტრადიციული საგალობლებია. ანსამბლი ხალხური შემსრულებლო ტრადიციების ერთგულია და ცდილობს, სიმღერები საარქივო ჩანაწერებიდან ან უშუალოდ ხალხური შემსრულებლებისგან შეისწავლს.

შავნაბადამ არაერთი სოლო კონცერტი გამართა საქართველოში. ანსამბლი ხშირად მოგზაურობს საზღვარგარეთ (თურქეთი, საფრანგეთი – კორსიკა, შოტლანდია, შვეიცარია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.), მართავს კონცერტებსა და ვორქშოპებს, მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში. *შავნაბადას* გამოცემული აქვს ხალხური სიმღერების 4 CD და ერთი DVD ალბომი, აგრეთვე ნირვისა და ლოცვის საგალობლების სასწავლო მრავალდისკიანი 2 აუდიოალბომი, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მომზადდა და უსასყიდლოდ ვრცელდება გალობის შესწავლის მსურველთათვის.

2016 წელს *შავნაბადას* აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიენიჭა.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდინან:

საქართველოს პრეზიდენტს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს

საზოგადოებრივ მაუწყებელს

ტელეკომპანია იმედს

საპატრიარქოს ტელევიზია *ერტსულოვნებას*

ქურნალ *მუსიკას*



THE SYMPOSIUM ORGANIZERS ARE MOST GRATEFUL TO:

PREZIDENT OF GEORGIA
THE MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORTS OF GEORGIA
GGEGE GEORGIAN PUBLIC BROAD CASTER
TV IMEDI
PATRIARCHY TELEVISION *ERTSULOVNEBA*
JOURNAL *MUSIKA*

სიმპოზიუმი ტარდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიაში

გრიბოედოვის 8/10, თბილისი, 0108, საქართველო

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ტელ.: (+995 322) 299 89 53

ფაქსი: (+995 322) 298 71 87

ვებ-გვერდი: www.polyphony.ge; www.symposium.polyphony.ge

ელ-ფოსტა: polyphony@tsc.edu.ge

**THE SYMPOSIUM IS HELD AT THE V. SARAJISHVILI
TBILISI STATE CONSERVATOIRE**

8/10, GRIBOEDOV STR., TBILISI, 0108, GEORGIA

THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY

TELEPHONE (+995 322) 2 99 89 53

FAX: (+995 322) 2 98 71 87

WEB-SITE: www.polyphony.ge; www.symposium.polyphony.ge

E-MAIL: polyphony@tsc.edu.ge

რედაქტორი
შემდგენელი
მთარგმნელი
მხატვარი
კომპიუტერული უზრუნველყოფა

რუსუდან წურწუმია
ნინო რაზმაძე
მაია კაჭკაჭიშვილი
ნიკა სეზისკვერაძე
ნინო რაზმაძე

Editor
Compiler
Translator
Design
Computer Service

RUSUDAN TSURTSUMIA
NINO RAZMADZE
MAIA KACHKACHISHVILI
NIKA SEBISKVERADZE
NINO RAZMADZE